

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №8

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

01. 06 2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: რამაზ არველაძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 1 ივნისის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. გელა ჩიკვაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხს. გელა ჩიკვაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება ვანის განვითარებისათვის“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხს. გელა ჩიკვაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლილუაშვილის მიერ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნაწილობრივ გამოყენების შესახებ.

მომხს.: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 1 ივნისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. “მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ შემოსულია დეპუტატ ტარიელ ბარამიძის განცხადება , რომელშიც აღნიშნულია, რომ ის ტოვებს თანამდებობას და შესაბამისად მოხდება ახალი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით მეორე საკითხთან დაკავშირებით გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ცვლილება ფრაქციის შემადგენლობაში და წარმოადგინა ეს ცვლილება. კერძოდ დეპუტატმა მალხაზ ცერცვაძემ დატოვა ფრაქციის რიგები. ფრაქციაში შესვლა ითხოვა დეპუტატმა ტარიელ ბარამიძემ, რომელიც არჩეული იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება ვანის განვითარებისათვის“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ცვლილება ფრაქციის შემადგენლობაში და წარმოადგინა ეს ცვლილება. კერძოდ დეპუტატმა ტარიელ ბარამიძემ დატოვა ფრაქციის რიგები. ფრაქციაში შესვლა ითხოვა დეპუტატმა მალხაზ ცერცვაძემ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ალექსანდრე ლილუაშვილმა ითხოვა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებიდან 12 სამუშაო დღე ,(3 ივნისიდან 18 ივნისის ჩათვლით) რაზეც საჭიროა ბიუროს წევრების თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მისცეს თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარეს შვებულების გამოყენებაზე.

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე